



სახელი, გვარი

თარიღი -----

VIII კლასი

1) ჩამოთვლილთაგან რომელია ის ნატურალური რიცხვი, რომლის კვადრატი თვით ეს რიცხვია?

- ა) 0 ბ) 1 გ) 0 და 1 დ) 2

2) კედლის საათი სამ საათზე სამჯერ დარეკვას 12 წამს ანდომებს. რამდენ წამს მოანდომებს ეს საათი ექვს საათზე ექვსი დარტყმის შესწრულებას ?

- ა) 36 წამს ბ) 30 წამს გ) 24 წამს დ) 20 წამს ე) 15 წამს

3) რამდენი წილადი რიცხვია $\frac{1}{3}$ -სა და $\frac{1}{2}$ -ს შორის, რომლის მნიშვნელში არის 12?

- ა) არცერთი ბ) 1 გ) 2 დ) 3

4) თუ A, B და C ერთ წრფეზე მდებარეობს და B წერტილი A და C წერტილებს შორისაა, მაშინ

- ა) $AB = AC - CB$ ბ) $AB > AC + CB$ გ) $AB < AC - BC$ დ) $AB = AC + CB$

5) $(* + 2y)^2 = 9x^2 + 12xy + 4y^2$ ტოლობაში *-ის ადგილზე უნდა ეწეროს:

- ა) $3x$ ბ) $9x^2$ გ) $3x^2$ დ) x^2

6) კასრში წყლის რაოდენობა ყოველ წუთში ორმაგდება. კასრი გაივსო 10 წუთში. რამდენ წუთში გაივსება კასრის ნახევარი ?

- ა) 9 წუთში ბ) 5 წუთში გ) 6 წუთში დ) 8 წუთში



7) რისი ტოლია -20 -დან 22 -მდე მათი ჩათვლით ყველა მთელი რიცხვის ჯამი?

- ა) 2 ბ) 22 გ) 43 დ) 1986

8) რამდენ გრადუსიან კუთხეს ადგენს საათისა და წუთების მაჩვენებელი ისრები ოთხ საათზე?

- ა) 100° -იანს ბ) 110° -იანს გ) 120° -იანს დ) 130° -იანს

9) თუ მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთი მეორეზე 20° -ით მეტია, მაშინ მათ შორის უდიდესი ტოლია:

- ა) 100° ბ) 90° გ) 80° დ) 120°

10) თუ $a > b$, მაშინ ჩამოთვლილთაგან აუცილებლად სწორია:

- ა) $|a| > |b|$ ბ) $|a| < |b|$ გ) $|a| = |b|$ დ) სამივე შესაძლებელია

11) სამი მომდევნო კენტი რიცხვის ჯამი 57 -ის ტოლია. იპოვე ამ რიცხვებს შორის უდიდესი.



12) შეასრულე მოქმედება:

$$-2\frac{1}{3} - (-3,5) =$$

13) მართკუთხედის პერიმეტრი 30 სმ-ია. გვერდების შეფარდება არის 1 : 5. იპოვე მართკუთხედის გვერდები.

14) ამოხსენი განტოლება: $20x - (25x - 5) = 10$

15) გამოთვალე:

$$\frac{2^7 \cdot (2^4)^3}{(2^8)^2} =$$